

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

24.01.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:*

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

დავით კიკელიძე - იურიდიული ფირმა „VBAT“-ის მმართველი პარტნიორი;

ლელა ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;

კახაბერ ჯაყელი - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

*ავტორიზაციის მადიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. ირაკლი ბარამიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

2. ედიშერ ჩავლეიშვილი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

3. აკაკი ხელაძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

4. ავთანდილ გაგნიძე - შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;

5. ლაშა კანდელაკიშვილი - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

6. მაია ხურცილავა - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის მენეჯერი;

7. ვალერიან სუხიშვილი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა წარადგინა:

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაიმატა მატერიალური რესურსი, კერძოდ, ქ. ბათუმში,

გრიშაშვილის ქ. №5 - ში არსებული 1928.39 კვ.მ.; ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91 - ში არსებული 620.00 კვ.მ. და ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქ. №103 - ში არსებული 455.20 კვ.მ. ჯამში, 3 003.59 კვ.მ. მისი განცხადებით, საბჭოს დღის მდგომარეობით, დაწესებულება აღარ ფლობდა მესამე ფართს, აღნიშნული დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერითაც, შესაბამისად, საბჭოს უნდა განეხილა, მხოლოდ პირველი და მეორე ფართი.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, დააზუსტა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოება - იყო თუ არა კომპიუტერული კლასი (30 კომპიუტერით) სკოლის მფლობელობაში.

ექსპერტის განმარტებით, კომპიუტერული კლასი იყო სკოლის მფლობელობაში, თუმცა სკოლასთან გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში იყო მითითება გაკეთებული, რომლის თანახმადაც, უნივერსიტეტს შეეძლო ესარგებლა სკოლის მატერიალური რესურსით, მათ შორის, კომპიუტერული კლასითა და შესაბამისად, 30 კომპიუტერით.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, დააზუსტა, უნდა ესარგებლა თუ არა სკოლას და უნივერსიტეტს ერთი კომპიუტერული ოთახით.

ექსპერტის განმარტებით, კომპიუტერული კლასი ამ ორ დაწესებულებას თანასარგებლობაში ექნებოდა. მან, აგრეთვე, დააზუსტა, რომ უნივერსიტეტი, ძირითადად, დღის მეორე ნახევარში ისარგებლებდა კომპიუტერებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას ამჟამად.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულება ახორციელებდა 91 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას და ჰყავდა 4802 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალურ ოდენობად.

ექსპერტის განმარტებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას შეადგენდა 6000 სტუდენტი, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 200.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სურდათ ზღვრული რაოდენობის 1000-ით გაზრდა. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 7000-ით და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

დავით აფრასიძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ჰკითხა- რით იყო განპირობებული კონტინენტის გაზრდის სურვილი, მაშინ, როდესაც დაწესებულების სტუდენტთა რაოდენობა ზღვრულ რაოდენობას ვერ ავსებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი მუდმივად ზრუნავდნენ განვითარებაზე. გამოცხადებული ჰქონდათ მობილობა, საბაკალავრო პროგრამებზე მიღებასაც აცხადებდნენ. ამასთან, რამოდენიმე პროგრამა ცენტრში იყო აკრედიტაციაზე წარდგენილი. ზემოაღნიშნული გარემოებები კი იყო კონტინენტის გაზრდის მოტივაცია.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ კონტინენტის გაზრდისათვის დაიმატა სკოლის ფართი, რადგან უნივერსიტეტი ახორციელებს განათლების პროგრამას, რომელზე სწავლიდან მსურველების რაოდენობა ბევრი იყო და რადგან აღნიშნული პროგრამის ნაწილი მოიცავდა სკოლაში პრაქტიკის განხორციელებას, შესაბამისად, სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, იყო თუ არა სკოლა თანახმა თანამშრომლობაზე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტის განმარტებით, სკოლასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ზემოაღნიშნულ თანამშრომლობის ფორმას.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა უნივერსიტეტი განათლების პროგრამის მხოლოდ დამატებულ ფართში განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რადგან პროგრამის უმეტესი ნაწილი სკოლასთან კომუნიკაციას ითვალისწინებდა, ამიტომ უპრიანი იქნებოდა პროგრამის აღნიშნულ ფართში განხორციელება.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, კონტინენტის გაზრდა ხდებოდა არა საერთო მონაცემების, არამედ, მხოლოდ დამატებული ფართის მონაცემების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 6000 სტუდენტი უნივერსიტეტს განესაზღვრა 17 703 კვ.მ. პირობებში. დამატებული მატერიალური რესურსი არსებულთან ერთად უზრუნველყოფდა 7000 სტუდენტისათვის სათანადო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 7000-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 7000-ით, მათ შორის 200 პროფესიული სტუდენტი.

## 2. შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თუა ნადირაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პრაქტიკასა და სამაგისტრო თეზისის სილაბუსით არ იყო განსაზღვრული შუალედური შეფასებებისას ქულათა რანჟირება კომპონენტებს შორის. აღნიშნულ სილაბუსებში არ იყო მითითებული დაშვების წინაპირობები, თუმცა პროგრამის ძირითად ნაწილში „სასწავლო გეგმის“ თავში განსაზღვრული იყო, რომ ორივე შემთხვევაში ძირითადი და სპეციალობის სასწავლო კურსებში დადებითი შეფასების მიღება სავალდებულო იყო.

ზოგადად, პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი კომპონენტი, რომლის შედეგად სტუდენტი მოიპოვებს კრედიტს უნდა ითვალისწინებდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესახებ ინფორმაციას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს შემდეგს: ... „შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე“.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, დააზუსტა, შენიშვნა გულისხმობდა დაწესებულების მიერ შუალედური შეფასების დეტალურ ჩაშლას.

თუა ნადირაძის განცხადებით, შუალედური შეფასება არ იყო გათვალისწინებული. დასკვნით გამოცდაზე ხდებოდა ქულის მინიჭება და შესაბამისად, კრედიტის მოპოვებაც.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ აღნიშნული ხარვეზი გასწორდა თუ არა ვიზიტის მიმდინარეობისას.

თუა ნადირაძის განცხადებით, ადგილზე აღნიშნულის გასწორება შეუძლებელი იყო. მისი განცხადებით, დაწესებულებამ კომპონენტები გაითვალისწინა, თუმცა, არა ამ ნაწილში.

1.2 სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: სს „საქართველოს ბანკი“; სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“; სს „მ2 უძრავი ქონება“; სს „ჯორჯიან ქარდი“; სს „ბი ჯი კაპიტალი“; სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“. აღსანიშნავია ის, რომ მემორანდუმები გაფორმებული გახლდათ,

მხოლოდ, ერთი წლით, მაშინ როდესაც სამაგისტრო პროგრამა სასწავლო პრაქტიკას ითვალისწინებს ბოლო ტრიმესტრში, წელიწადნახევრის შემდეგ. აღნიშნულით დასტურდება, რომ იმ პერიოდისთვის პრაქტიკა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულების რექტორმა წარმოადგინა განახლებული მემორანდუმები (გარდა ს.ს „საქართველოს ბანკისა“), რომელთა მოქმედების ვადაა ორი წელი.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითქმის ყველა სასწავლო კურსში გამოიყენება ინგლისურენოვანი ლიტერატურა და სასწავლო რესურსი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ეთანხმებოდნენ ექსპერტს, რომ აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებდა დაზუსტებას. ამდენად, მათ შეიტანეს ცვლილება დადგენილი წესის შესაბამისად.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, აღნიშნული ცვლილება ვიზიტის შემდგომ იყო განხორციელებული თუ - არა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ცვლილება ვიზიტის შემდგომ იქნა განხორციელებული, დაწესებულებას ჰქონდა რეგულაცია, თუმცა მკაფიო ფორმულირება იყო საჭირო, რომელიც განხორციელდა ვიზიტის შემდგომ.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ენა არის ქართული, პროგრამის კომპონენტები ინგლისურენოვანია. მისი განმარტებით, თანამედროვე ლიტერატურა ხემისაწვდომი იყო, მხოლოდ ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, ხდება უახლესი ლიტერატურის მიწოდება, თუმცა სტუდენტს პროგრამაზე მოსახვედრად სჭირდება B2 დონეზე ინგლისურის ცოდნა. მან დასძინა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გათვალისწინებული სხვადასხვა პროექტები, გამოყოფილი ჰქონდა თანხები კვლევითი საქმიანობისათვის, მათ შორის, სახელმძღვანელოების თარგმნისთვისაც.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, დააზუსტა, რომ თემატიკის შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა ხდებოდა ინგლისურ ენაზე, თუმცა სასემინარო/სალექციო/საგამოცდო აქტივობები - ქართულ ენაზე.

1.4 თეა ნადირაძის განცხადებით, დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული იყო, რომ კატალოგი განთავსებული იყო ვებგვერდზე, თუმცა, ვიზიტის დროს აღნიშნული არ დადასტურდა.

მისი განცხადებით, ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგის დანიშნულებაა დაინტერესებულ პირთა (როგორც გარეშე, ასევე შიდა) ინფორმირება და დაწესებულებისა და მისი პროგრამის ერთგვარად რეკლამირება. დაწესებულების მიერ შემუშავებული კატალოგი, ორგანიზაციის პოტენციალის (მატერიალური, ადამიანური და პრაქტიკის მემორანდუმები) გათვალისწინებით, სასურველია ყოფილიყო გაცილებით ინფორმირებული. მისი განმარტებით, რექტორთან საუბრის შემდეგ, ვიზიტის მეორე დღეს, მოხდა კატალოგის ვებ-გვერდზე განთავსება.

1.5 დაწესებულებაში შემუშავებულია სამართლებრივი აქტი „სტუდენტის სტატუსის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. მასში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება; სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება; მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა, მობილობის პროცედურა და შედეგები; სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის განმარტება და საფუძვლები; სტატუსის აღდგენა; სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის ცოდნის შეფასების ზოგადი აღწერა; მიღწევების შეფასება; კრედიტთა დაგროვება; სასწავლო აკადემიური წელი და სხვა.

აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულება მოხსენებულა, როგორც უნივერსიტეტი, რაც დაინტერესებულ პირთათვის შეცდომაში შემყვანი ტერმინია, რადგან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მისი სახე იქნება სასწავლო უნივერსიტეტი, შესაბამისად, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ ინფორმირებულობა უზრუნველყოს ზუსტი ტერმინოლოგიით.

1.6 წარმოდგენილ დოკუმენტში, სტუდენტის სტატუსის მოპოვების თავში, აღნიშნულია, რომ სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით - „ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე“ სასწავლებელში ჩარიცხვა. საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავების თავში მითითებულია შემდეგი: „პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდას და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდას“. თუმცა, დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული რა ტიპის გამოცდა უტარდებათ - რა ფორმით, როგორი შეფასებით და სხვა. სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების თანახმად, დაწესებულებას დადგენილი უნდა ჰქონდეს კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის დააწესოს გამოცდა შესაბამის სპეციალობაში.

1.7 ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში მე-3 მუხლის 3.7 პუნქტში არის შემდეგი დათქმა: „*აბიტურიენტი, რომელიც ადმინისტრაციის რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არ მიმართავს სასწავლებელს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასაგლეხად, უფლებამოსილია მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე*“. მოცემული რეგულაცია - შენახვის პრინციპი 2013 წლის 11 ნოემბრიდან აღარ მოქმედებს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია ტრიმესტრული სწავლება, თუმცა პროგრამას თან არ ახლავს აკადემიური კალენდარი (რომლის შესახებ მე-17 მუხლის 17.1 პუნქტშია მითითებული), შესაბამისად, ვერ დგინდება მობილობის განხორციელება არის თუ არა შესაძლებელი პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის (ტრიმესტრით გაწერილი სასწავლო კურსთა) დასრულების შემდეგ, თუ მობილობა დაემთხვევა შუა სასწავლო პროცესს? რექტორის განმარტებით, პირველი ტრიმესტრი, დამატებითი გამოცდის ჩათვლით, დასრულებული იქნება იანვრის დასაწყისში.

1.8 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია: აკადემიური შვებულება; უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ფინანსური დავალიანება; სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევა; ჯანმრთელობის მდგომარეობა; პირადი განცხადება; ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია: „სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება; პირადი განცხადება; შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება; შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში; კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის; გარდაცვალება; ეთიკის ნორმების დარღვევა.

დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი: „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიკაციისა და კრედიტების აღიარების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია მუხლი დაწესებულების ფარგლებს გარეთ/სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარება, მასში განსაზღვრულია ინფორმაცია კრედიტების აღიარების მოთხოვნებსა და პროცედურების შესახებ.

დაწესებულების წესდების 43-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეები, გასატარებელი ღონისძიებები და პროცედურები დგინდება სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით, თუმცა, დებულებით მოცემული საკითხები არ არის განსაზღვრული. აღნიშნული საკითხები რეგულირდება ეთიკის კოდექსით.

ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას. აღნიშნული ნორმის დარღვევის შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. თუმცა, ამავე დოკუმენტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში, სადაც მოცემულია სტუდენტებისთვის დისციპლინური სახდელის სახეებში, მატერიალური ზარალის ანაზღაურება არ არის განსაზღვრული. ამავე პუნქტში არ არის დაკონკრეტებული თუ რა შემთხვევაში, რა სახის გადაცდომებისთვის გამოიყენება დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები - შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება.

უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ტერმინი „უნივერსიტეტის“ გამოყენება იყო წმინდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც სათანადო წესის დაცვით იქნა გასწორებული და ყველა ახალი დოკუმენტი იქნა ატვირთული დაწესებულების

ვებგვერდზე. მისი განცხადებით, მეტი სიცხადისათვის, დაზუსტდა გამოცდებთან დაკავშირებული საკითხებიც. ამასთან, გასწორებული იქნა დებულების მუხლი, რომელიც აღარ მოქმედებს. მისი განმარტებით, 2013 წლის 11 ნოემბერი იყო პერიოდი, როდესაც დაწესებულება აქტიურად ემზადებოდა ავტორიზაციისათვის, შესაბამისად, დებულებაც იმ პერიოდში იქნა დამტკიცებული, როდესაც ნორმა მოქმედებდა. აკადემიურ კალენდართან დაკავშირებით, რექტორის განცხადებით, სანამ კალენდარი შეიქმნება ბევრი საკითხია დასაზუსტებელი, ამიტომ ამ ეტაპისათვის კალენდრის წარდგენა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მისი განცხადებით, კალენდრის შექმნისას, სტუდენტთა ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული.

უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, უშუალო კავშირში არ არის ერთმანეთთან მატერიალური ზიანი და დისციპლინური სახდელი. შესაძლებელია მოხდეს დაწესებულების ქონების დაზიანება უნებლიედ, რომელიც არ გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თუმცა განზრახი დაზიანება - შესაძლებელია გახდეს ამის საფუძველი. დაწესებულებაში იქნება შესაბამისი ორგანო, რომელსაც ექნება ზუსტად ეს დისკრეცია, განსაზღვროს ქმედებას მოჰყვება თუ არა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

## 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების წესდების მე-10 მუხლის მე-20 პუნქტის მიხედვით, რექტორი სისტემურ კონსულტაციებს ატარებს არსებულ სტუდენტურ თვითმმართველობასთან; ამავე დებულების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები; მე-40 მუხლის მე-10 პუნქტის



თანახმად, სტუდენტი უფლებამოსილია შექმნას/გაერთიანდეს სტუდენტურ გაერთიანებაში. საგულისხმოა, რომ დაწესებულების სტრუქტურაში არ არის განსაზღვრული სტუდენტური თვითმმართველობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის სტრუქტურა არსებული მდგომარეობის. გამომხატველია . თვითმმართველობის შექმნის ფაქტი, აისახებოდა სტრუქტურაშიც. მთავარია, სტუდენტებს თვითმმართველობის უფლების რეალიზების გარანტიები აქვთ დაწესებულების რეგულაციაში.

2.2 შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულებაში აღნიშნულია შემდეგი: „თავი III. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა განაცხადების მიღება: 3.4. კონკურსანტთა განაცხადის დროის ამოწურვისთანავე საკონკურსო ბოლო განცხადების შემდეგ კეთდება ჩანაწერი კონკურსში მონაწილე პირების საერთო რაოდენობის შესახებ და ჩანაწერს დაესმება სასწავლო უნივერსიტეტის ბეჭედი კანცელარიის უფროსის ხელმოწერით; 3.5. განაცხადების მიღების დროს დაშვებული შეცდომების შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ჟურნალის „შენიშვნის“ გრაფაში...“ ასეთი გრაფა რეგისტრაციის ჟურნალს არა აქვს და საკონკურსო განცხადებები გატარებულია შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის საერთო ჟურნალში, სხვა დანარჩენ განცხადებებთან ერთად, სადაც არავითარი ჩანაწერი კონკურსში მონაწილე პირების საერთო რაოდენობის შესახებ, ხელმოწერა და ბეჭედი არ არის, თუმცა, არსებობს ცალკე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ 21 პირის დოკუმენტაცია გადაეცა საკონკურსო კომისიას 903 გვ.

2.3 შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის მიხედვით - „მუხლი 6. შემოსული დოკუმენტაციის გაფორმების, აღრიცხვის და შენახვის წესები: 6.3. შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალში ივსება შემდეგი რეკვიზიტები: დ) კორესპონდენციის ძირითადი და თანდართული ფურცლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობა - განცხადების მიღებისას არ არის მითითებული ინფორმაცია ძირითადი და თანდართული ფურცლების რაოდენობის შესახებ და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფურცლების საერთო რაოდენობა დაფისქსირებულია მიღება-ჩაბარების აქტებში.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, გარდა საკუთარი რეგულაციებისა, დაწესებულება არღვევდა თუ არა სხვა რაიმე წესს. თეა ნადირაძის განცხადებით, დაწესებულება არღვევდა, მხოლოდ, საკუთარ რეგულაციებს.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, საქმისწარმოების წესის თანახმად, შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაცია ხდება საერთო ჟურნალში, ამიტომ საკონკურსო განაცხადების რეგისტრაციაც მოხდა საერთო ჟურნალში. იგი დაეთანხმა ექსპერტს, რომ სასურველია, მომხდარიყო განცალკევება. მისი განცხადებით, დაწესებულებამ დალუქა ძველი ჟურნალი, შექმნა ახალი, სადაც შენიშვნების გრაფა უკვე არსებობდა.

### 3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში კონკურსის შედეგად შერჩეულ 19 კანდიდატიდან, 16 პირთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დანარჩენ 3-თან ამ ეტაპისთვის ხელშეკრულება გაფორმებული არ არის.

შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №4 - აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ - განსაზღვრულია 21 საკონკურსო ადგილი: ფინანსების მიმართულებით - 1 პროფესორი, 3 -

ასოც. პროფესორი, 3 - ასისტ. პროფესორი; მენეჯმენტის მიმართულებით - 1 პროფესორი, 3 - ასოც. პროფესორი, 3 - ასისტ. პროფესორი; მარკეტინგის მიმართულებით - 1 პროფესორი, 3 - ასოც. პროფესორი, 3 - ასისტ. პროფესორი; შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მეცამეტე ბრძანებით კი, საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთა თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ, რომელიც გამოცემულია აკადემიური თანამდებობების დაკავების საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე - შერჩეულია 19 კანდიდატი, მათგან ფინანსების მიმართულებით - 1 პროფესორი, 3 - ასოც. პროფესორი, 3 - ასისტ. პროფესორი; მენეჯმენტის მიმართულებით - 3 - ასოც. პროფესორი, 4 - ასისტ. პროფესორი; მარკეტინგის მიმართულებით - 3 - ასოც. პროფესორი, 2 - ასისტ. პროფესორი, რაც ადასტურებს შეუასაბამობას ვაკანტურ ადგილებსა და არჩეული კანდიდატების რაოდენობას შორის.

გაურკვევლობას იწვევს ერთ-ერთი კანდიდატურის (დარა შეკოს აჰმედ) განცხადება საბუთების წარდგენის დროს, რომელსაც განაცხადი გაკეთებული აქვს ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მენეჯმენტის მიმართულებით და საკონკურსო კომისიამ ის შეარჩია ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე, რაც „ადეკვატურად“ ასახულია დანიშვნის შესახებ ბრძანებაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია დაწესებულების ვებგვერდზე (ვებგვერდი) აკადემიური პერსონალის ჩამონათვალში.

ადმინისტრაციის განმარტებით, სავარაუდოდ, დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც მოითხოვს დაზუსტებას. ვიზიტის მეორე დღეს, 21 იანვარს დაწესებულების ადმინისტრაციამ (კერძოდ, რექტორმა, ბატონმა აკაკი ხელაძემ) წარმოადგინა განმარტებითი დოკუმენტები: ბრძანება №22, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს 2013 წლის 29 ნოემბრიდან №13. 29.11.2013 ბრძანების ის ნაწილი, რომელიც ეხება კონკურსანტ დარა აჰმედის მენეჯმენტის მიმართულებით ასისტენტ პროფესორად დანიშვნას; ასევე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ საკონკურსო კომისიამ დაუშვა ტექნიკური შეცდომა დოკუმენტის გაფორმებისას და პირი, რომელსაც განაცხადი შეტანილი ჰქონდა ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე მენეჯმენტის მიმართულებით და რომელმაც ვერ გაიმარჯვა (დარა აჰმადი), დაფიქსირებულ იქნა საკონკურსო კომისიის ოქმში, როგორც მენეჯმენტის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე წარდგენილი. ადმინისტრაციამ ასევე წარმოადგინა დარა აჰმადის განცხადება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შეცდომით იქნა არჩეული ასისტენტ-პროფესორად, თვითონვე უარს ამბობს ამ დაწესებულებასთან თანამშრომლობაზე, თუმცა ფაქტობრივი მონაცემებით აღნიშნულ პიროვნებასთან ამ ეტაპზე შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არ არის და შესაბამისად მისი აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა არ დასტურდება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა. აღნიშნულ პირს არ ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება. ფაქტი დასტურდება საკონკურსო კომისიის დასკვნითაც. მისი განცხადებით, აღნიშნული პირი არ ყოფილა შრომით ურთიერთობაში დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 215-ით განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი გეგმავენ ტრიმესტრულ სწავლებას და პროგრამის ბოლოს პრაქტიკასა და სამაგისტრო ნაშრომის დაწერას. მისი განცხადებით, ეს თავისებურებება გახდება მათი ძლიერი მხარე.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ბაზრის კვლევა ჩატარებული.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა, თუ რომელი პროგრამა წარმოადგენდა გამოკითხულთა ინტერესის საგანს და ამ სეგმენტის უპირატესობა დაფიქსირდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გამოიკითხა 1300 თანამშრომელი. ამასთან, „ernst and young“-ის კვლევები არსებობდა პროფესიების მიხედვით, რომელთა შედეგებიც იქნა გამოყენებული.

დავით კიკაღიშვილის განცხადებით, ნაწილი ხარვეზებისა იყო ტექნიკური, ხოლო ნაწილი შესაძლოა არ შეფასდეს, როგორც ტექნიკური ხასითვის შეცდომა. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტს დაესახელებინა ასეთი ტიპის ხარვეზები.

თეა ნადირაძის განცხადებით, მისთვის პრობლემურს წარმოადგენდა შუალედურ შეფასების არქონასთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან და კონკურსთან დაკავშირებული ხარვეზები.

დავით კიკაღიშვილმა მიმართა ექსპერტს, თვითმმართველობის არქონა, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ხომ არ უქმნიდა საფრთხეს ამ უფლების რეალიზებას.

რევაზ აფხაზავას განცხადებით, აღნიშნული საკითხი საბჭოს შესაფასებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ გაიმეორა მისი არგუმენტაცია ზემოაღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით და დაადასტურა, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო, ექსპერტების ყველა მითითება - გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი გარემოებები არ არსებობდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ უშუალოდ რამდენი იყო სასწავლო ფართი.

ექსპერტის განმარტებით, სასწავლო ფართი იყო 406 კვ.მ. თეა ნადირაძის განცხადებით, ერთი აუდიტორია არ იქნა ჩათვლილი სასწავლო ფართად, რადგან მას არ ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრებს შორის გამოიწვია კამათი, იქნებოდა თუ არა საკმარისი ეს ფართი სტუდენტებისათვის, მაშინ, როდესაც დაწესებულება გეგმავდა, დამატებით, სასერტიფიკატო კურსების განხორციელებასაც.

საბჭო შეთანხმდა, რომ სასერტიფიკატო კურსების განხორციელებების საკითხი მათ კომპეტენციაში არ შედიოდა და აღნიშნული არ უნდა გაეთვალისწინებინათ კონტინგენტის განსაზღვრისას.

შესვენება გამოცხადდა - 20:46

საბჭოს სხდომა განახლდა - 21:07

საბჭომ იმსჯელა შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 215-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405014979) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 215-ით.

წინააღმდეგი იყო დავით კიკაღიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი უარყოფითი ხმის არგუმენტაცია გახლდათ ავტორიზაციის დებულების ის ნორმები, რომლებიც ადგენს, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ შემუშავებული დოკუმენტაცია არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ამასთან, ის აფასებს დაწესებულების მზაობას იმ დროისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და არა სამომავლო პერსპექტივებს. თუ დაწესებულება არღვევს ავტორიზაციის თუნდაც ერთ სტანდარტს, მას უნდა ეთქვას უარი ავტორიზაციის მინიჭებაზე.

### 3. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, იოსებ კელენჯერიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად, განხორციელდა თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის საფუძველზე. ვიზიტის დროს დაფიქსირებული იყო მცირე ხარვეზი მხოლოდ ადამიანური რესურსის ნაწილში. კერძოდ:

ა) სრული პროფესორი თ. ხელაძე კითხულობს სასწავლო კურსს „ფსიქიატრია და მენტალურ პაციენტთა მოვლა“, ხოლო აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს ფილოსოფიურ მეცნიერებებში;

ბ) სრულ პროფესორს ტატიანა გვიშვილს მინიჭებული აქვს გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ვერ დადგინდა რომელ სასწავლო კურსს უძღვება.

გ) ასოცირებული პროფესორის არჩილ თამასიძის პირადი საქმიდან ირკვევა, რომ სომხეთის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალიზირებული საბჭოს გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხი. აღნიშნული დოკუმენტი არ არის ნათარგმნი ქართულ ენაზე, არ არის დამოწმებული ნოტარიულად და არ მოიძებნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.

დ) ასოცირებულ პროფესორს გია ჟორჟლიანს მინიჭებული აქვს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. პროგრამების და სილაბუსების შესწავლიდან ვერ დადგინდა თუ რომელ სასწავლო კურსს უძღვება გია ჟორჟლიანი.

ვ) ასოცირებულ პროფესორს ჯულიეტა მუხაძეს მინიჭებული აქვს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ვერ დადგინდა რომელ კურსს უძღვება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა 2011 წელს, 2013 წელს კი მოხდა დაწესებულების გასხვისება. პედაგოგები არჩეულნი იყვნენ 2011 წელს, შესაბამისად ახალი ადმინისტრაცია ცდილობდა აკადემიური პერსონალის განახლებას. მაია ხურცილავას განმარტებით, დაწესებულებას ყავდა 50 პედაგოგი, ხოლო ის პედაგოგები რომელთან დაკავშირებითაც იყო შენიშვნები დაფიქსირებული, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, სტუდენტებს არანაირი პრობლემა სწავლასთან დაკავშირებით არ ექმნებოდათ.

მაია ხურცილავამ განმარტა, რომ დაწესებულებამ 2013 წელს რამდენიმე პროგრამაზე გაიარა აკრედიტაცია და კიდევ აპირებდა სააკრედიტაციო განაცხადით ცენტრისთვის მომართვას.

იოსებ კელენჯერიძემ დაადასტურა, რომ ხარვეზი იყო აღმოფხვრილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

#### 4. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა ეკა ლუაშვილმა წარადგინა:

დაწესებულება ქ. ლაგოდეხი, ცხრა აპრილის ქ. №42-ში ფლობს 1906 კვ.მ შენობა-ნაგებობას, ხოლო ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №26 ფლობს 927 კვ.მ. სასწავლო ფართი ჯამურად 1225.58 კვ.მ-ია. ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების ფართზე ქ. ლაგოდეხში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომელიც მომავალში აქტიურად გამოყენებული იქნებოდა სასწავლო პროცესისათვის, თუმცა დაწესებულებამ ამ ეტაპზე აღნიშნული ფართი წარმოადგინა, როგორც დამხმარე ფართი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ვინ ასწავლიდა სტუდენტებს ლაგოდეხში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მათა ხურცილავამ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი გამოყოფდა შესაბამის ტრანსპორტს და პედაგოგებს თბილისიდან ჩაიყვანდა ლაგოდეხში.

ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, დაწესებულებას სტატეგიულ გეგმაში ეწერა ეს ყველაფერი და ამავდროულად აპირებდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელებას აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების ხელმძღვანელის, ლაშა კანდელაკიშვილის განმარტებით სასწავლო უნივერსიტეტს 3000 სტუდენტის მომსახურება შეეძლო, თუმცა ის ამ ეტაპზე 1500 სტუდენტამდე მოითხოვდა კონტიგენტის გაზრდას.

დავით კიკალიაშვილმა, აღნიშნა, რომ 1500 სტუდენტი საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო და მიმართა ექსპერტს კითხვით, ადასტურებდა, თუ არა, რომ ამ რაოდენობის სტუდენტების მომსახურების შეძლება სასწავლო უნივერსიტეტი?

ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას 1150 სტუდენტის მომსახურებისათვის ჰქონდა შესაბამისი პირობები.

ლაშა კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ ის თანახმა იყო თუ საბჭო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტს -1150 სტუდენტით განსაზღვრავდა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1150 სტუდენტამდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201954956) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1150-ით.



## 5. შპს სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. (საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, იოსებ კელენჯერიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში (მ.1, პ.1.2; მ.19, პ. 19.7) მითითებულია, რომ "პერსონალი ვალდებულია... სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს... კურსების (სილაბუსების) მკაცრი დაცვით" და "შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები... დაკონკრეტებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში" (მ.20, პ. 20.4). თუმცა, სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულები, შეფასების კრიტერიუმების/მეთოდების აღწერის გარეშე. ინფორმაციის არ არსებობის გამო ვერ დგინდება როგორ მოხდება შუალედურ შეფასებებში აუცილებელი მინიმალური 11 ქულის შეგროვება, მინიმალური დადებითი 51 ქულის მიღება, უარყოფითი შეფასებების -Fx და F გამიჯვნა, სტუდენტის მიერ მიღებული არამაქსიმალური შეფასების ფორმირება და მისი მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან და სხვ...; „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს“.

1.2 სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის N2 ოქმის მე-19 მუხლის 19.10) და საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში მითითებულია, რომ სემესტრის 20 კვირა მოიცავს 16 სასწავლო და 4 საგამოცდო (სასესიო) კვირას. თუმცა როგორც სასწავლო კურსების, ისე პრაქტიკების სილაბუსებში არ არის მითითებული თუ რომელ კვირას ჩატარდება დასკვნითი გამოცდა, დამატებითი გამოცდა კი საერთოდ არ არის გათვალისწინებული; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების მეოთხე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად: „სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა“. შეუძლებელია ამ მოთხოვნის შესაბამისობის დადგენა.

1.3 რიგ შემთხვევაში, პროგრამის კურიკულუმებში და სილაბუსებში მითითებულია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია, მაგალითად:

სასწავლო კურსი „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ - სილაბუსში მითითებულია - IV სემესტრი, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო გეგმით კი - II; წინაპი-

რობა - "ეკონომიკის საფუძვლები" პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის; სასწავლო კურსი "ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი" - სილაბუსით VIII სემესტრი, ფარმაციის პროგრამის სასწავლო გეგმით - VII, წინაპირობა - "მათემატიკა" და "ბიოეთიკა" პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3<sup>5</sup>) პუნქტის თანახმად, პროგრამა არის სასწავლო კურსების ერთობლიობა, ხოლო ამავე მუხლის 3<sup>23</sup> პუნქტის თანახმად, სილაბუსი არის დოკუმენტი, „რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ“;

- სასწავლო კურსი და მის წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსი ისწავლება ერთსა და იმავე სემესტრში - მაგ.: სასწავლო კურსი "სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტი" და მისი წინაპირობა "ტურიზმის მენეჯმენტი" - ეკოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება VIII სემესტრი; "ტურისტული სააგენტოები და პროცედურები" და მისი წინაპირობა "ტურიზმის მარკეტინგი" - ეკოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმით ისწავლება VI სემესტრი;

1.4 სხვადასხვა სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური მიზნები - მაგ.: ინგლისური ენა-1 (B1.1 დონე, I სემესტრი), ინგლისური ენა-2 (B1.2 დონე, II სემესტრი), ინგლისური ენა-3 (B2.1 დონე, III სემესტრი), ინგლისური ენა-4 (B2.2 დონე, IV სემესტრი), ბიზნეს-ინგლისური ენა-1 (V სემესტრი) და ბიზნეს-ინგლისური ენა-2 (VI სემესტრი). გარდა ამისა, იდენტურია ინგლისური ენა-1, ინგლისური ენა-2, ინგლისური ენა-3 და ინგლისური ენა-4-ის სწავლის შედეგები, ასევე იდენტურია ბიზნეს-ინგლისური ენა-1 და ბიზნეს-ინგლისური ენა-2-ის სწავლის შედეგები. შესაბამისად, გაურკვეველია რატომ ასწავლილს დაწესებულება სხვადასხვა დონის ( პროგრამას ) ? სხვადასხვა კურსებს თუ მათ აქვთ (ერთი)? (ხომ არ სჯობს-საერთო) მიზანი და შედეგი;

1.5 სტუდენტის საქმიანობაში არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი მუშაობის საათები - მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკა - 5 კრედიტი=125 სთ, საიდანაც 120 სთ სამუშაო ჯგუფში მუშაობაა და 5 სთ დაცვაა არ შეესაბამება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას (მ.2, პ.1.), რომლის თანახმად, სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს დამოუკიდებელ მეცადინეობასაც;

1.6 შეფასების სისტემა ითვალისწინებს მხოლოდ ერთჯერად შეფასებას - მაგ: სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის და პრაქტიკის სილაბუსებში შეფასების სისტემაში მითითებულია: "შეფასების კომპონენტები: თავფურცელი და რეზიუმე - 10 ქულა, საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა - 20 ქულა, საქმიანობის ანალიზი - 30 ქულა, დასკვნები და რეკომენდაციები - 20 ქულა, დანართი - 10 ქულა, პრეზენტაცია - 10 ქულა. სულ ჯამი 100 ქულა", რაც არ შეესაბამება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას (მ.4, პ.2.), რომლის თანახმად სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) შუალედურ შეფასებებს; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

1.7 უსდ-ს წესდებაში (თავი. X, პუნქტი.9) მითითებულია, რომ "დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაცია (ხარისხი), რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტით - დიპლომით ან

სერტიფიკატით დანართთან ერთად” - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (მ.46, პ.3) თანახმად “სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით”, ხოლო სერტიფიკატი გაიცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამლევის (მ.47<sup>2</sup>, პ.5) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების (მ.47<sup>3</sup>, პ.3) შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე;

1.8 “სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში” (მ.3, პ. 3.6) მითითებულია, რომ “მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვთ მხოლოდ ბაკალავრსა და დიპლომირებულ მედიკოსს (ვეტერინარს) ან მასთან გათანაბრებულ პირს” - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (მ.48, პ.3) თანახმად “მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს” იმის გათვალისწინებით, რომ ამავე კანონის (მ.47<sup>1</sup>) თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. მაგისტრს ერთმევა კანონით გავალისწინებული უფლება;

1.9 “სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში” (მ.8, პ.8.2) და წესდებაში (თ. XI, პ.11) მითითებულია, რომ “მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი წლის შემდეგ, გარდა მაგისტრატურის პროგრამაზე მობილობისა” - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 10/ნ (04.02.2010) ბრძანების (მ.4. პ. 2) თანახმად “მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ”;

1.10 “სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში” (მ. 4, პ. 4.2) და “წესდებაში” (თ. XI, პ.8) სტატუსის შეჩერების საფუძვლებში არ მოიაზრება სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, მათ შორის შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის დარღვევა, რაც გათვალისწინებულია უსდ-ს ეთიკის კოდექსით (მ.3., პ.3.11), რომლის შესაბამისად, “სტუდენტებს, რომლებიც შემჩნეული იქნებიან დისციპლინარულ გადაცდომებში ან დანაშაულის ჩადენაში, შეუჩერდებათ ან შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი”. ამავე მუხლში მითითებულია თუ რა მოიაზრება ასეთ გადაცდომებში და დანაშაულში, თუმცა არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის გამოძწვევი ქმედებები. ეთიკის კოდექსის თანახმად: “უნივერსიტეტში დისციპლინარული წესით ისჯება უნივერსიტეტში მოქმედი (შინაგანაწესში შეტანილი) ნორმების დარღვევა” (მ.3, პ.310) და “საუნივერსიტეტი აკადემიური ცხოვრების წესებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევაში შემჩნეული სტუდენტის საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის რექტორი” (მ.4). თუმცა, უსდ-ს შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში და წესდებაში ზემოაღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმების არარსებობის გამო არ დგინდება, თუ რომელი დისციპლინური გადაცდომა იწვევს ამა თუ იმ კონკრეტულ სანქციას, მათ შორის, სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას, არის თუ არა დისციპლინური სანქციები გადაცდომის პროპორციული, (როგორის) ? დისციპლინური წარმოების პროცედურა, რა წესით ხდება ამ საკითხების შესწავლა, მტკიცებულებების მოპოვება-განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და სხვ. - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (მ.43): “სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით ... სამართლიანი პროცედურის გზით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი,

რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას” (პ.7); “სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის წესდებით განისაზღვრება გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო” (პ.8), “დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ... ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს” (პ.10);

1.11 სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულებით განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით სწავლის საფასური, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები“. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის რექტორის N69 ბრძანებით თბილისის კორპუსის სტუდენტებს მოემართა გადასახადი. ასევე არც ერთ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის მოქმედების ვადები;

1.12 “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების” მე-15 მუხლში “სტუდენტის მიერ სპეციალობის არჩევა და ჯგუფის დაკომპლექტება” და მე-17 მუხლში “საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანის გამჭვირვალობა” მითითებულია, რომ საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურულიდან გამომდინარე “უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს კვალიფიკაციების არჩევანს” და “არჩევით სასწავლო კურსებს”, უსდ-ს წესდების (თ.9, პ.13) თანახმად, “პროგრამების არჩევანი ღია და გამჭვირვალეა”. თუმცა, მითითებულ რეგულაციებში არაფერია ნათქვამი როგორია სასწავლო კურსების/მოდულების არჩევის წესი, რა შემთხვევაში შეძლებს სტუდენტი მისთვის სასურველი სასწავლო კურსის შესწავლას (სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობის ან სხვ. პირობის გათვალისწინებით). ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არ არის არც უსდ-ს ვებგვერდზე (მათ შორის, რუბრიკაში “სტუდენტის გზამკვლევი”), ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგში არ არის ინფორმაცია პროგრამებით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების, მათი შესწავლის სემესტრებისა და წინაპირობების შესახებ, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლისთვის. - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ (01.10.2010) ბრძანების შესაბამისად “დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას” (მ.9) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №188 (07.04.2011) ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების თანახმად “დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის გამჭვირვალე წესი და უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მისი გაცნობა” (მ.14, პ.6);

## 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 უსდ-ის მისამართზე თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.№ 9 ა-ში განთავსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შემოწმებისას 75 წიგნიდან ვერ მოიძებნა სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებული 26 სახელმძღვანელო. მათ შორის, რიგ შემთხვევაში ვერ მოიძებნა მითითებული სახელმძღვანელოების უმეტესობა (მაგ.,

ადამიანური რესურსების მართვა - 5-დან 4 სახელმძღვანელო: პერსონალის მართვა; საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელი; დროის მართვა და კონფლიქტების მართვა; კონფლიქტოლოგია - 4-დან 3 სახელმძღვანელო - ჯორბენაძე. პოლიტიკური კონფლიქტების მართვა; ჯორჯიკია ნ. სოციალური კონფლიქტები და ნ. ქაჯაია. კონფლიქტის ფსიქოლოგია) და სხვ.

რიგ შემთხვევაში კი ვერ მოიძებნა სილაბუსით გათვალისწინებული ვერც ერთი მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელო (მაგ.: სოციოლოგიური კვლევის მეთოდები - 4 სახელმძღვანელო: ნონიაშვილი. კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში; ზდრაგომისლოვი. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა. 1965; ზურაბიშვილი თ. ზურაბიშვილი თ. სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია. რაოდენობრივი მეთოდები. 2003; სოციოლოგიური კვლევის მეთოდები; კულტურული ტურიზმი - 2 სახელმძღვანელო: ნ. კვარაცხელია, კულტურული ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა. 2009 და ბ. ფილდენი და სხვ. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები. 2007; მეტყველება 1 - 2 სახელმძღვანელო: გიგაური გ. საქართველოს ბიომრავალფეროვნება. 2000, გულისაშვილი. ზოგადი მეტყველება. 1957; PR-ტექნოლოგიები - ერთადერთი მითითებული სახელმძღვანელო: ელ. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა. 2007) და სხვ.

უსდ-ის მისამართზე, ცხინვალის გზატკეცილი მე-9 კილომეტრზე განთავსებულ ბიბლიოთეკაში, წიგნადი ფონდის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სილაბუსებში მითითებული 10 (ათი) სავალდებულო ლიტერატურა არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში.

### 3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტმა 2012 წლის 09 ნოემბერის რექტორის N48 ბრძანებით გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. აღნიშნულ ბრძანებაში არ არის მითითებული საბუთების შეტანის ვადები, მაგრამ აღნიშნულია, რომ კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 15 ნოემბრამდე, რაც წინააღმდეგობაში მოდის გაზეთში მითითებულ თარიღთან, ვინაიდან 2012 წლის 15-21 ნოემბრის გაზეთში გამოქვეყნდა განცხადება, სადაც საბუთების მიღება გამოცხადდა 17 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით (სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების IX თავის მე-6 პუნქტის მიხედვით საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი კვირისა, აღნიშნულ შემთხვევაში კი გრძელდებოდა 4 დღე), კონკურსის ჩატარების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 28 დეკემბერი. 2012 წლის 15 დეკემბერს რექტორის N61 ბრძანებით მტკიცდება აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის შედეგები და ინიშნებიან ერთი სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და ერთი ასისტენტ-პროფესორი. აღნიშნულ ბრძანებას წინ უსწრებს 2012 წლის 15 დეკემბრის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები N1 და N2, პირველ ოქმში ფიქსირდება, რომ საბუთების მიღება მიმდინარეობს 2012 წლის 9 დეკემბრიდან, იმავე დღეს 15 დეკემბერს კომისიამ მიიღო სხდომის ოქმი N2, სადაც მოხდა კონკურსის მეორე ეტაპი, მაშინ, როცა ჯერ საბუთების მიღება გამოცხადებულიც არ არის (გაზეთის განცხადების თანახმად საბუთების მიღება წარმოებს 17 -21 დეკემბრის ჩათვლით). ასევე ოქმი N2 ში მითითებულია კომისიის თავმჯდომარის განცხადება, რომლის თანახმადაც ღია კონკურსი მიმდინარეობს 2012 წლის 9 ნოემბრიდან. მაშასადამე გაზეთში გამოცხადებულია კონკურსის ჩატარება 2012 წლის 28 დეკემბერს, ხოლო დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით 15 ნოემბერს რექტორის N61 ბრძანებით კომისიის სხდომების ოქმების საფუძველზე უკვე დაინიშნენ შერჩეული კანდიდატები (სულ 6 აკადემიური პერსონალი). მათ შორის გიორგი

ქვეთარაძე, ნუგზარ თევდორაძე და დავით ხობელია დღესაც არიან დაწესებულების ასოცირებული პროფესორები;

3.2 სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტმა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადა 2012 წლის 21 მარტს. საბუთების მიღება წარმოებს 2012 წლის 20 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით. დოკუმენტაციის განხილვა ხდება 2012 წლის 14 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1 თარიღდება 28 აპრილით (ანუ ერთი თვით ადრე), სადაც უკვე ხდება საბუთების გადარჩევა, ასევე საკონკურსო კომისიის 28 მაისის ოქმი N2 თანახმად ხდება კონკურსის შედეგების დამტკიცება, სადაც გამარჯვებულ კანდიდატად სახელდება ნათელა მოსიაშვილი და ზურაბ ჩხიკვაძე. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ კანდიდატს ზურაბ ჩხიკვაძეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით საბუთები კონკურსში მონაწილეობაზე შეტანილი აქვს 2012 წლის 03.05.2012, ანუ მას შემდეგ, რაც საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1-ის მიხედვით უკვე მოხდა მისი საბუთების გადარჩევა პირველ ეტაპზე. საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა და საბუთების გადარჩევა ჩატარდა (28.04.2012) მაშინ, როცა საბუთების მიღება დასრულებული არ იყო (სრულდება 11 მაისს). ასევე, გამარჯვებულ კანდიდატს საბუთები შეტანილი ჰქონდა მისი კანდიდატურის განხილვის შემდგომ. აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული ორივე კანდიდატი დღეს არის დაწესებულების მოქმედი პროფესორი;

3.3 სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად საბუთების მიღება წარმოებდა 2012 წლის 13 თებერვლიდან. საგაზეთო განცხადებაში მითითებული იყო მხოლოდ საბუთების მიღების დაწყების ვადა, ხოლო საბუთების მიღების დასრულების, შედეგების გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადები განცხადებაში მითითებული არ არის. აღნიშნულით ირღვევა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც „აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით“. დაწესებულების წესდებით დადგენილი წესის IX თავის მე-6 პუნქტის მიხედვით „კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ სამი და არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში“. ხოლო გამოცხადებულ კონკურსში შეუძლებელია დადგინდეს საბუთების დასრულების ვადები. აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები: იოსებ ფალელაშვილი, ავთანდილ ლაფაჩი, ლაშა ნინოშვილი, ალექსანდრე სხირტლაძე, მათა ტულუში, ნატალია ბიწაძე, ნაილი მეღანაშვილი, ნინო მიროტაძე, ციური ნოზაძე, ვაჟა გოგიჩაიშვილი, ნინო ბიბილაშვილი (სულ 11 აკადემიური პერსონალი) დღესაც არიან დაწესებულების მოქმედი პროფესორები;

სამივე ჩატარებულ კონკურსიდან დღესდღეობით დაწესებულებას ჰყავს 16 მოქმედი აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, აღნიშნული კონკურსების გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებას დააკლდება 16 აკადემიური პერსონალი.

**მონიტორინგის ჯგუფის მიერ ასევე აღმოჩენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები:**

აზერბაიჯანის მოქალაქეებს: ანარ აბიშოვს, ხაგან მამადოვს, ელვინ გარაევს, საფიხან ნადიევს, აისინ ჰაჯიევს, ჯავიდ მასკუდოვს და სარხან უკალაევს 2012 -2013 წლის პირველ სემესტრში, საგანში - მათემატიკა ეკონომისტიებისათვის, მიღებული აქვთ შეფასება F

(ჩაიჭრა). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით მათ ეს საგანი თავიდან ჰქონდათ შესასწავლი. აღნიშნული საგანი უნივერსიტეტის სილაბუსის მიხედვით წარმოადგენს საგნების: მათემატიკა ეკონომისტიკისათვის II და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების შესწავლის წინაპირობას, შესაბამისად ისინი ვერ დარეგისტრირდებოდნენ მათემატიკა ეკონომისტიკისათვის II და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების საგნებზე მომდევნო სემესტრში, ვინაიდან ამ საგნების წინაპირობა - მათემატიკა ეკონომისტიკისათვის მათ თავიდან ჰქონდა გასავლელი.

მომდევნო (მეორე) სემესტრში რექტორის 2013 წლის 25 ივნისის N122 ბრძანებით აღნიშნული ყველა სტუდენტი დაშვებულ იქნენ სასესიო (ფინალურ) გამოცდებზე, ხოლო სტუდენტებმა აისინ ჰაჯიევმა, სარხან უკალაევმა და ხაგან მამადოვმა მეორე სემესტრში გაიარეს მათემატიკა ეკონომისტიკისათვის II, შეფასებით E (საკმარისი) და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, შეფასებით E (საკმარისი). მათ აგრეთვე უფიქსირდებათ ამ საგნებში აქტივობები და შუალედური გამოცდები.

ამგვარად, აისინ ჰაჯიევმა, სარხან უკალაევმა და ხაგან მამადოვმა წინაპირობის გარეშე გაიარეს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების და მათემატიკა ეკონომისტიკისათვის II საგნები მეორე სემესტრში. ამასთანავე ისინი დღესდღეობით ყველანი იმყოფებიან სტუდენტთა აქტიურ ბაზაში.

მაშასადამე დარღვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმადაც პროგრამას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა და სწავლება უნდა ხორციელდებოდეს ამ თანმიმდევრული სტრუქტურის მიხედვით. ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N188 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მე-11 მუხლის „ე“ პუნქტი.

ამასთანავე, დაწესებულებამ ვიზიტის დასრულების შემდგომ წარმოადგინა 2012-2013 წლის პირველი სემესტრის დამატებითი უწყისები, სადაც საგანში მათემატიკა ეკონომისტიკისათვის სტუდენტებს ელვინ გარაევს და საფიხან ნალიევს აქვთ შეფასება E, განსხვავებით ვიზიტის დროს წარმოდგენილი უწყისებისაგან, სადაც აღნიშნულ სტუდენტებს ამ საგანში უფიქსირდებათ F. იგივე მდგომარეობაა ინფორმატიკაში. ასევე სტუდენტებს ანარ აბიშოვს, ბაბეკ ალიევს, ნალიევ საფიხანს და ჯავად მასკუდოვს ქართულ ენაში პირველ სემესტრში ჰყავთ ყველაფერში 0, ხოლო დამატებით წარმოდგენილ უწყისში მათ უფიქსირდებათ აქტივობები და შეფასება E. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საგნების სილაბუსებში დამატებითი გამოცდა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ასევე, დამატებითი გამოცდის შესახებ რექტორის ბრძანება აღნიშნულ სემესტრში ბრძანებების წიგნში არ ფიქსირდება.

ასევე, აღნიშნულ სტუდენტებს პირველ სემესტრში აქტივობებში და შუალედურ შეფასებებში უფიქსირდებათ 0 ქულა, შესაბამისად აღნიშნული სტუდენტები არ უნდა ყოფილიყვნენ დაშვებულნი ფინალურ გამოცდაზე, მაგრამ უწყისების მიხედვით ისინი გასულები არიან ფინალურ გამოცდაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების თანახმად, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

დაწესებულებამ წარმოადგინა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ნაშრომები, ნაწილის წარმოდგენა ვერ მოხერხდა, ხოლო წარმოდგენილი ნაშრომების გარკვეული ნაწილი არ არის გასწორებული და არა აქვს შეფასება, არ არის მითითებული ლექტორის გვარი, ასევე არ არის მითითებული რომელი საგნის ნაშრომია, რომელის სემესტრია და რომელი

სასწავლო წელია. შესაძლებელია აღნიშნული ნაშრომები ჩაითვალოს როგორც პირველ, ასევე მეორე სემესტრის როგორც შუალედურ, ასევე ფინალურ გამოცდის ნაშრომად, ასევე შეფასების გარეშე შესაძლებელია ნებისმიერი ქულის შეყვანა უწყისში. აღნიშნულით ირღვევა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს“.

იოსებ კელენჯერიძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის განხორციელების შემდგომ, სასწავლო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც მთელი რიგი შენიშვნები იყო გაზიარებული და გამოსწორებული.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რა გახდა დაწესებულების გადამოწმების საფუძველი. იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის გადამოწმების საფუძველი გახდა დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული ხარვეზი ფიქსირდებოდა მხოლოდ სილაბუსების ერთ ნაწილში. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოცემული შენიშვნა იყო მთლიანად გათვალისწინებული და აღმოფხვრილი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრში. საბჭოს წევრი ანა ბახტურიძე დაინტერესდა, თუ რამდენ სილაბუსში ფიქსირდებოდა მოცემული სახის შენიშვნა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მსგავსი ხარვეზი დაფიქსირებული იყო 9 სილაბუსში. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ მოცემული შენიშვნა იყო ტიპური და სისტემური ხასიათის და იგი ფიქსირდებოდა დაწესებულების თითქმის ყველა სილაბუსში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, მოხდა ყველა სილაბუსის თავიდან გადახედვა და სადაც კი ფიქსირდებოდა აღნიშნული სახის ხარვეზი ყველგან იქნა გამოსწორებული. შესაბამისად, აკადემიურ საბჭოზე სილაბუსები ხელახლა დამტკიცდა.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა იმაში, რომ ვერ დგინდებოდა  $F_x$  და  $F$  გამიჯვნა. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული იყო შუალედური და დასკვნითი შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულები შეფასების კრიტერიუმების/მეთოდების აღწერის გარეშე. შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო ვერ დგინდებოდა თუ როგორ მოხდებოდა - შუალედურ შეფასებებში აუცილებელი მინიმალური 11 ქულის დაგროვება, მინიმალური დადებითი 51 ქულის მიღება, უარყოფითი შეფასებების  $F_x$  და  $F$  გამიჯვნა, სტუდენტის მიერ მიღებული არამაქსიმალური შეფასების ფორმირება და მისი მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მართალია სილაბუსით არ იყო გამიჯნული  $F_x$  და  $F$  გამიჯვნა, თუმცა აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით“. თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ შეფასების კრიტერიუმები არ იყო განსაზღვრული და მხოლოდ მითითებული იყო მაქსიმალური ქულები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური შეფასება - 60 ქულა ნაწილდებოდა ორ შუალედურ გამოცდაზე (თითო - 30 ქულა). სილაბუსებში არ იყო ჩაშლილი,



დაკონკრეტებული თუ რა შემთხვევაში მიიღებდა სტუდენტი მაგალითად: 30, 25, 11, ან 5 ქულას.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ როდის გაიარა დაწესებულებამ ავტორიზაცია. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2011 წელს.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ როდის ტარდებოდა დასკვნითი გამოცდა. 1.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსით არ იყო განსაზღვრული, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების დრო. აღნიშნული ინფორმაცია მოცემული იყო სასწავლო კალენდარში და საგანმანათლებლო პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი იყო 10 დღე. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, რამდენ კვირიანი იყო სემესტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სემესტრი მოიცავდა 20 კვირას, აქედან -16 სასწავლო და 4 საგამოცდო (სასესიო) კვირა. თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში მითითებული იყო, რომ 20 კვირიანი სემესტრი მოიცავდა 16 სასწავლო და 4 საგამოცდო კვირას. თუმცა, როგორც სასწავლო კურსების, ისე პრაქტიკების სილაბუსებში არ იყო მითითებული თუ რომელ კვირას ჩატარდებოდა დასკვნითი გამოცდა, დამატებითი გამოცდა კი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. საგამოცდოდ განსაზღვრული 4 კვირიდან ვერ დგინდებოდა, თუ რამდენი ეთმობოდა დამატებით გამოცდას, შესაბამისად შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა დაცული იყო თუ არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ ის ნორმა, რომლის მიხედვითაც სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიურ კალენდარში დეტალურად იყო ჩაშლილი, თუ როგორ ნაწილდებოდა გამოცდები 4 კვირის განმავლობაში. ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, არსებობდა თუ არა დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც განსაზღვრავდა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარს. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური კალენდრის განმსაზღვრელი ბრძანება დაწესებულებაში არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით მოახსენა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, რომ 1.2 შენიშვნა მთლიანად იყო გამოსწორებული.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რომელი აქტით რეგულირდებოდა შუალედური გამოცდების ჩატარების საკითხი. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დაწესებულებაში შესვლის დღიდან, ჯგუფის წევრებმა დაწესებულებისგან მოითხოვეს ყველა იმ აქტის, რეგულაციის წარმოდგენა, რომელიც ეხებოდა სასწავლო პროცესს. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდებოდა, თუ რომელი აქტით იყო განსაზღვრული შუალედური გამოცდების ჩატარების პროცედურა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური გამოცდები ტარდებოდა მე-7 და მე-14 კვირას, ფინალური კი - მე-17-18 კვირას. ლელა ქელბაქიანი აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ როდისლა ატარებდა დაწესებულება დამატებით გამოცდას. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-7 და მე-14 კვირას სტუდენტებს უტარდებოდათ მხოლოდ ლექციები, სასემინარო მუშაობის დროს კი უტარდებოდათ

შუალედური გამოცდები. ლელა ქელბაქიანმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სილაბუსების მიხედვით, როგორც მან გაიგო, მე-7 და მე-14 კვირას სტუდენტებს 1 საათი უტარდებოდათ ლექცია და 2 საათი - შუალედური წერა. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაწესებულება სასესიო პერიოდისთვის გათვალისწინებულ 4 კვირაში არ ანგარიშობდა შუალედურ გამოცდებს. 4 კვირა განკუთვნილი იყო მხოლოდ დასკვნითი და დამატებითი გამოცდისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ შუალედური გამოცდები შედიოდა სასწავლო კვირებში და 4 კვირა, რომელიც გამოყოფილი იყო სასესიოდ, განკუთვნილი იყო მხოლოდ დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისთვის. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომავალში იგეგმებოდა შუალედური გამოცდების არასასწავლო კვირებში გათვალისწინება, არამედ ცალკე გამოყოფა.

1.3 შენიშვნაზე სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განმარტა, რომ საგნის წინაპირობასთან დაკავშირებული ხარვეზი ფიქსირდებოდა მხოლოდ 1 სასწავლო დისციპლინაში. რექტორის განმარტებით, მთავარი იყო ის, რომ მოცემულ შენიშვნას არ დაუზარალებია სტუდენტები, ვინაიდან საგანი, რომელთან დაკავშირებითაც ფიქსირდებოდა ხარვეზი, ისწავლებოდა მე-8 სემესტრში, მაშინ როდესაც დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები ჰყავდა მე-4 სემესტრში.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ რიგ შემთხვევებში პროგრამის კურიკულუმებში და სილაბუსებში მითითებული იყო ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია, მაგალითად: სასწავლო კურსი "ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" - სილაბუსში მითითებული იყო IV სემესტრი, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო გეგმაში კი - II სემესტრი, წინაპირობად მითითებული ჰქონდა - "ეკონომიკის საფუძვლები", რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. სასწავლო კურსი - "ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი" - სილაბუსის მიხედვით ისწავლებოდა VIII სემესტრში, ფარმაციის პროგრამის სასწავლო გეგმით კი - VII, წინაპირობა - "მათემატიკა" და "ბიოეთიკა" პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბუღალტრის საფუძვლები ისწავლებოდა მე-2 სემესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1.3 პუნქტში დაფიქსირებული შენიშვნები იყო მთლიანად გამოსწორებული.

საბჭოს წევრი დავით კვიციანიშვილი დაინტერესდა თუ როგორ ასწავლა დაწესებულებამ მე-4 კურსის სტუდენტს "ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი", მაშინ, როდესაც საგნის წინაპირობა - "მათემატიკა" და "ბიოეთიკა" პროგრამის სასწავლო გეგმით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სემესტრების არასწორად მითითება იყო ტექნიკური ხარვეზი და გამოწვეული იყო კონკრეტული საგნის ლექტორის უპასუხისმგებლობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის სასწავლო კურსები, სადაც წინაპირობებად მითითებული იყო ისეთი საგნები, რომლებიც სასწავლო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ისწავლებოდა წინაპირობების გარეშე. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, წაკითხული ჰქონდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა იყო გაზიარებული და გამოსწორებული. რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ 1.3 პუნქტში მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული. იოსებ კელენჯერიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ

წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული.

1.4 შენიშვნაზე თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა დონისა და კურსის საგნებს ჰქონდათ იდენტური მიზნები და შედეგები. რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, მიზნებისა და შედეგების მისაღწევი გზები იყო თუ არა იდენტური. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა და მიზნის მისაღწევი გზები იყო განსხვავებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული.

ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, თუკი აკადემიური პერსონალი სხვადასხვა სიღრმისა და კურსის საგნებში ვერ ასხვავებდა მიზნებსა და შედეგებს, მაშინ ცალსახად პრობლემა იყო თავად საგნის ლექტორში. რევაზ აფხაზავა დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას. თამარ გვიანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მაგალითად სრულიად იდენტური იყო ინგლისური ენა-1, ინგლისური ენა-2, ინგლისური ენა-3 და ინგლისური ენა-4-ის სწავლის შედეგები და მიზნები.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსი გადაიხედა და მოცემული ხარვეზი გამოსწორდა. რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ კრედიტის მოცულობაში დამოუკიდებელი მუშაობის საათების გათვალისწინების აუცილებლობა მომდინარეობდა ბოლონიის პროცესიდან და სავალდებულო იყო აღნიშნული წესის დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი აზრით, კანონმდებლობაში ცალსახად არ იყო გამიჯნული პრაქტიკული მეცადინეობა სხვა სახის აქტივობებისგან და ამან გამოიწვია აღნიშნული ხარვეზის არსებობა.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით, იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებისას დადგინდა, რომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული.

1.7 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნაც გამოასწორეს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტებზე გაიცემოდა დიპლომი.

1.8 ხარვეზზე თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში" მითითებული იყო, რომ მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვთ მხოლოდ ბაკალავრსა და დიპლომირებულ მედიკოსს (ვეტერინარს) ან მასთან გათანაბრებულ პირებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. იმის გათვალისწინებით, რომ ამავე კანონის მიხედვით, დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან, დაწესებულების რეგულაციით მაგისტრს ერთმევა კანონით გავალისწინებული უფლება.

1.9 ხარვეზზე თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის პროცესის მარეგულირებელ წესებში და წესდებაში მითითებული იყო, რომ მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი წლის შემდეგ, გარდა მაგისტრატურის პროგრამაზე მობილობისა. თამარ გვიანიშვილის მოსაზრებით, აღნიშნული რეგულაცია საქართველოს კანონმდებლობასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1.9 შენიშვნა იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და უკვე გამოსწორდა. ლელა ქელბაქიანი არ დაეთანხმა

დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას და აღნიშნა, რომ მსგავსი სახის შენიშვნა ვერ იქნებოდა ტექნიკური ხასიათის. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნა და მთლიანად იყო გამოსწორებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტთა მობილობის საკითხებთან დაკავშირებით, სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

1.10 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული ხარვეზიც გამოსწორდა. ამასთან სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დისციპლინური გადაცდომის გამო სტუდენტს შეჩერებოდა ან შეწყვეტოდა სტატუსი.

1.11 შენიშვნასთან დაკავშირებით იოსებ კელენჯერიძემ განმარტა, რომ რექტორის 2013 წლის №69 ბრძანებით თბილისის კორპუსის სტუდენტებს მოემატათ სწავლის გადასახადი. დაწესებულების მიერ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულებით განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით სწავლის საფასური, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები“. სტუდენტებთან გაფორმებულ არცერთ ხელშეკრულებაში მითითებული არ იყო მოქმედების ვადები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოცემული ბრძანებით იანვრის თვეში თბილისის კორპუსის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურად განისაზღვრა 2750 ლარი. აღნიშნული ასახული იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის გაგზავნილ ანკეტა-კითხვარშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული ბრძანება ვრცელდებოდა 2013-2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტებზე. შესაბამისად, აღნიშნული აქტით კი არ გაიზარდა სწავლის გადასახადი, არამედ დაწესდა იმ პირებისთვის, რომლებიც ისწავლიდნენ თბილისში მდებარე სასწავლო კორპუსში. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ წინა წლებში სწავლის საფასური შეადგენდა 2700 ლარს, 2008 წლის ომის შემდგომ დაწესებულებამ დაწია სწავლის გადასახადი. 2750 ლარი ეხებოდა მხოლოდ თბილისის სასწავლო კორპუსის სტუდენტებს.

ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ რექტორის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ 2750 ლარის გადასახადი ვრცელდებოდა თბილისის კორპუსში მოსწავლე სტუდენტებზე. შესაბამისად, რექტორის მიერ გამოცემული ბრძანება ეხებოდა არა ახალჩარიცხულ სტუდენტებს, არამედ თბილისის კორპუსის ყველა სტუდენტს, მათ შორის იმათაც, ვინც წინა წლებში ჩარიცხებოდა და გორის სასწავლო კორპუსში დაიწყებდა სწავლას და შემდგომ გააგრძელებდა - თბილისში.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, შეეძლოთ თუ არა სტუდენტებს ერთდროულად ესწავლათ გორშიც და თბილისშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები თავად ირჩევდნენ, თუ რომელ სასწავლო კორპუსში უნდოდათ სწავლა.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, როგორ არეგულირებდა დაწესებულება სტუდენტების გადანაწილებას ორ სასწავლო ფართში. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი რეგულირდებოდა სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

1.12 შენიშვნაზე თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციებში არ იყო განსაზღვრული სასწავლო კურსების/მოდულების არჩევის წესი, რა შემთხვევაში შეძლებდა სტუდენტი მისთვის სასურველი სასწავლო კურსის შესწავლას. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არ იყო არც დაწესებულების ვებგვერდზე, ასევე არ იყო ინფორმაცია პროგრამებით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების, მათი შესწავლის სემესტრებისა და წინაპირობების შესახებ. შესაბამისად, დაწესებულების მიერ არ იყო უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დასრულების შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და აღნიშნული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნული წიგნები იყო შესყიდული და შესაბამისად, მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა იოსებ კვლენჯერიძემ დაადასტურა, რომ 2.1 შენიშვნა დაწესებულების მიერ იყო გამოსწორებული.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა იოსებ კვლენჯერიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებამ გააუქმა აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული სამივე კონკურსის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკურსები ხელახლა იქნა გამოცხადებული. იოსებ კვლენჯერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 15 პროფესორი, 26 - ასოცირებული პროფესორი და 6 - ასისტენტ-პროფესორი. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსების გაუქმების შედეგად დაწესებულებას აკლდებოდა 16 აკადემიური პერსონალი. თამარ გვიანიშვილის განმარტებით, დარჩენილი აკადემიური პერსონალი დაწესებულებას ჰყოფნიდა, რომ დაეკმაყოფილებინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსის ავტორიზაციის სტანდარტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა საკონკურსო ვადების არასწორად გამოთვლა და შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმდა სამივე კონკურსის შედეგები.

3.1 და 3.2 შენიშვნებთან დაკავშირებით საბჭოს წევრი დავით კიკაღიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ მოხდა ის, კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდა მაშინ, როდესაც საბუთების მიღების ვადები ჯერ არ იყო დასრულებული. მისი მოსაზრებით, გაუგებარი იყო ის, რომ სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტმა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადა 2012 წლის 21 მარტს. საბუთების მიღება წარმოებდა 2012 წლის 20 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით. დოკუმენტაციის განხილვა მოხდა 2012 წლის 14 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1 თარიღდებოდა 28 აპრილით (ანუ ერთი თვით ადრე), სადაც უკვე განხორციელდა კონკურსანტების საბუთების გადარჩევა. ასევე საკონკურსო კომისიის 28 მაისის ოქმი №2 თანახმად მოხდა კონკურსის შედეგების დამტკიცება. კონკურსში გამარჯვებულ ერთ-ერთ კანდიდატს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო ყურნალის მიხედვით, საბუთები კონკურსში მონაწილეობაზე შეტანილი ჰქონდა - 03.05.2012, ანუ მას შემდეგ, რაც საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1 -ის მიხედვით უკვე მოხდა მისი საბუთების გადარჩევა პირველ ეტაპზე. საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა და საბუთების

გადარჩევა კი ჩატარდა (28.04.2012) მაშინ როდესაც ჯერ საბუთების მიღება დასრულებული არ იყო. შესაბამისად, გამარჯვებულ კანდიდატს საბუთები შეტანილი ჰქონდა მისი კანდიდატურის განხილვის შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა საკონკურსო ვადების არასწორად მითითება. დავით კიკალაიშვილის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა კონკრეტული თარიღის არასწორად მითითებას, არამედ სახეზე იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული შენიშვნა იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, რადგან კონკურსის გამოცხადების თარიღი იყო არასწორად მითითებული. თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ გაზეთებში და საკონკურსო კომისიის ოქმებში კონკურსის ურთიერთგამომრიცხავი ვადები იყო მითითებული.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლელა ქალებაქიანი დაინტერესდა, თუ როგორ ვერ აღმოაჩინა მოცემული ხარვეზები დაწესებულებამ, როდესაც გამოახადა კონკურსები. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც კონკურსანტი მოვიდა დაწესებულებაში საბუთების შემოსატანად და მას უკვე ჩატრებული დახვდა აღნიშნული კონკურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის შესარჩევად გამოცხადებულ მოცემულ კონკურსებზე ერთი საჩივარიც კი არ იყო დაწერილი. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა მონიტორინგის ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი, გააუქმა მოცემული 3 კონკურსი, ჩაატარეს ახალი კონკურსები და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინეს ცენტრის მონიტორინგის სამსახურს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალი კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა 15 აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში ირიცხებოდა 1100 სტუდენტი. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ 16 აკადემიური პერსონალის გამოკვლების შემთხვევაშიც დაწესებულებას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ჰქონდა დაცული. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, 16 აკადემიური პერსონალიდან, რომელთა არჩევის კონკურსებიც გააუქმა დაწესებულებამ, რამდენი მათგანი აირჩია სასწავლო უნივერსიტეტმა ახალი კონკურსის მეშვეობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი კონკურსის მიხედვით, სულ არჩეული იყო 15 აკადემიური პერსონალი, საიდანაც 9 - ასევე არჩეული იყო გაუქმებული კონკურსებით. შესაბამისად, 16 აკადემიური პერსონალიდან, რომელთა კონკურსებიც დაწესებულებამ გააუქმა, ახალ გამოცხადებულ კონკურსში აირჩა 9 მათგანი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ 16 აკადემიურ პერსონალს ხელშეკრულების ვადა უმთავდებოდათ მათის თვეში, შესაბამისად, დაწესებულებამ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, ყველა მათგანისთვის უზრუნველყო კომპენსაციის მიცემა. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ 2014 წლის 8 თებერვალს, სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით, კვლავ ტარდებოდა ახალი კონკურსი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გააუქმა დასკვნაში მოცემული სამივე კონკურსის შედეგები.

აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებთან დაკავშირებით იოსებ კელენჯერიძემ განმარტა, რომ მონიტორინგის ვიზიტის დასრულების შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი უწყისები, რომელთა მიხედვითაც, შვიდივე სტუდენტს ჰქონდა ქულების საკმარისი რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა

ლექტორი ინდივიდუალურად აწარმოებს ელექტრონულ პორტფოლიოებს, სადაც აღნიშნება სტუდენტების შეფასებები. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ლექტორებმა მოგვიანებით შეიტანეს ელექტრონულ პორტფოლიოში ნიშნები და ამიტომ ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის სტუდენტებს საგნის ჩასაბარებლად არასაკმარისი ქულები. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო 2 ურთიერთგამომრიცხავი უწყისი, კერძოდ ერთ უწყისში ყველა გრაფა იყო ცარიელი და მასში არანაირი აქტივობა არ ფიქსირდებოდა, ხოლო მეორე უწყისში - ჩასმული იყო კონკრეტული აქტივობები და ნიშნები. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რომ თუკი სტუდენტი არ გამოცხადდა მხოლოდ დასკვნით გამოცდაზე, რატომ არ იყო სემესტრული აქტივობები შეყვანილი უწყისში.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, რომ თუკი დასკვნაში დაფიქსირებულ სტუდენტებს პირველ სემესტრში აქტივობებში და შუალედურ შეფასებებში უფიქსირდებოდათ 0 ქულა, როგორ იყვნენ მოცემული სტუდენტები დაშვებულები ფინალურ გამოცდაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხარვეზი გამოიწვია უწყისების ელექტრონული ფორმით წარმოებაში. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლექტორები პორტფოლიოებში აღრიცხავდნენ მიმდინარე შეფასებებს და შემდგომ მოცემული მონაცემები შეჰქონდათ ელექტრონულ უწყისებში. აღნიშნულ შემთხვევაში, წარმომადგენლის მოსაზრებით, ხარვეზი გამოიწვია სწორედ ელექტრონული ფორმით უწყისის წარმოებაში.

ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაუშვებელი იყო, რომ დაწესებულებამ ფინალურ გამოცდაზე დაუშვა ის სტუდენტი, რომელსაც წინა აქტივობებში უფიქსირდებოდა 0 ქულა. შესაბამისად, აღნიშნული არგუმენტი, მისი მოსაზრებით, არ იყო გასაზიარებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლექტორებს ელექტრონულ უწყისებში სემესტრული ნიშნები შეჰქონდათ უშუალოდ გამოცდის წინ და ამიტომ მოხდა, რომ გარკვეული რაოდენობის უწყისებში სემესტრული აქტივობების გრაფები იყო ცარიელი.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა ყველა სტუდენტისთვის იყო თუ არა სავალდებულო ფინალურ გამოცდაზე გასვლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო იყო ფინალურ გამოცდაზე გასვლა. ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს, თუკი სტუდენტს მიღებული ჰქონდა 51%-ზე მეტი შეფასება, სავალდებულო იყო თუ არა აღნიშნული სტუდენტის გასვლა საბოლოო გამოცდაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სტუდენტის გასვლა ფინალურ გამოცდაზე იყო სავალდებულო.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა სულ რამდენი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე სწავლობდა დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლობდა 51 აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ ხარვეზზე, რომელიც ეხებოდა ნაშრომების გარკვეულ ნაწილზე მიღებული შეფასების, ლექტორის გვარის, საგნის, სემესტრის, სასწავლო წლის მიუთითებლობას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ნაშრომები ელექტრონულად იყო ამოღებული სისტემიდან და კომპიუტერმა ამობეჭვდის დროს მოჭრა მოცემული ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, იყო ტექნიკური ხასიათის. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში თითქმის

ყველა გამოცდა ბარდებოდა ელექტრონულად, კომპიუტერის მეშვეობით და საგამოცდო ფურცლების ამობეჭდვის დროს შესაძლოა გარკვეული ინფორმაცია ტექნიკური ხარვეზის გამო მოიჭრა. საბჭოს წევრი კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები კომპიუტერის მეშვეობით გადიოდნენ ტესტირებას. საბჭოს წევრების მიერ ნაშრომების ადგილზე გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ ნაშრომებში ლექტორის ვინაობა, საგნის დასახელება, სემესტრი და სასწავლო წელი არ იყო მითითებული.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ ძირფესვიანად იქნა შემოწმებული დაწესებულება და მისი აზრით, საბედისწერო და არსებითი ხასიათის შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. ის ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც მოცემული იყო დასკვნაში, ყველა მათგანი იყო უკვე გამოსწორებული. რექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო დაწესებულება ორინტეგრირებული იყო სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და ამ მიმართულებით ნერგავდა სხვადასხვა სახის სიახლეებს, კერძოდ, ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარება. მისი განმარტებით, სემესტრის განმავლობაში არ ყოფილა სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების შემთხვევა. ვალერი სუხიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ სასწავლო დაწესებულებაში პერიოდულად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, ფუნქციონირებდა სხვადასხვა შემოქმედებითი და სპორტული წრეები.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა იოსებ კელენჯერიძემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში გამოჩენილი თანამშრომლობისთვის.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ იმ სტუდენტებმა, რომლებმაც წინაპირობის გავლის გარეშე ისწავლეს კონკრეტული საგნები, სასწავლო უნივერსიტეტი თავისივე სახსრებით უზრუნველყოფდა აღნიშნული სტუდენტებისთვის წინაპირობით გათვალისწინებული საგნის შესწავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის დასკვნის ჩაბარების შემდგომ დასკვნაში აღნიშნული 4 აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე სტუდენტისთვის მოხდა სტატუსის შეჩერება. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ სტუდენტს აღუდგათ სტატუსი ყველა მათგანი დაწესებულების ხარჯით გაივლიდა გამოტოვებულ საგნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული გადაწყვეტილება დაწესებულებამ მიიღო სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა აღნიშნული 4 სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება. იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერება მოხდა ფინანსური დავალიანების გამო.

სხდომაზე 23:03 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 23:12 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები იყო არსებითი ხასიათის, რომელთა ნაწილიც დაწესებულებას უკვე გამოსწორებული ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრების მოსაზრებით, დაწესებულებას დარჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოსადგენად უნდა მისცემოდა 15 დღის ვადა.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა



ხარვეზების სრულად გამოსწორებისათვის დაწესებულებისათვის 15 დღიანი ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:15 საათზე.

თავმჯდომარე  
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი  
ანა ბახტურიძე